№ 96 მაისი 3, შაბათი 1886 მაისი 3, შაბათი № 96

გაზეთი ღირს:

თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს დ გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი | საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი | 1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერია" 1 მაისიდამ წლის დამლევამდე ღირს 7 მან. 25 კაპ.

ტფილისი, 2 მაისს

არ იქნა ვერ დასრულდა ოსმალეთ-საბერძნეთის კინკლაობა. საბერძნეთის მთავარ-მინისტრი დელიანისი გადადგა სამსახურიდამ, რადგანაც ვეღარ გაუძლვა თავისის ქვეყნის აწეწილს საქმეს ერთის მხრით და მეორეს მხრით—ევროპის ტუქსვასა და მუქარას. შინ ხალხი საომრად იწვევდა დელიანისსა და გარედ ევროპა უძახოდა, არ გაბედოვო, იარაღი აიყარეო, თორემ პირში მიქცემთო ოსმალეთსა და რაც დაგემართება, შენივე ბრალი იქნებაო. ესეც არ აკმარა ევროპამ: აიღო და ზღვის შესავალ-გასავალი გზები შეუკრა საბერძნეთის საომარს ხომალდებსა და ამ მხრით თითქმის მარჯვენა ხელი მოსჭრა უამისოდაც უღონო საბერძნეთს. საბერძნეთის კოროლმა ხან ერთს მიჰმართა სამინისტროს შესადგენად, ხან მეორეს, მაგრამ ასეთს ორ-ცეცხლშუა დგომას ვერავინ ვერ შეჰბედა და ვერავინ ვერ იკისრა ამ გასაჭირს ყოფაში საქმეების წინ გაძღოლა. ბოლოს დეპეშამ გვაცნობა, რომ მთავარ-მინისტრად, დელიანისის მაგიერ კოროლმა მოიწვია ვალუისი და ამან იკისრა მინისტრობა და ახალის სამინისტროს შედგენა. უმთავრეს საგნად ამ ახალს სამინისტროს ისა აქვსო, გვაუწყებს დეპეშა, რომ თოფ-იარაღის აყრას შეუდგესო.

რასაკვირველია, თუ ეს ხმა გამართლდა და საბერძნეთმა თავისი ჯარები შინ დაითხოვა, საქმე ჯერხანად მაინც ამითი დაწყნარდება და ოსმალეთიც თოფ-იარაღს აიყრის და ჯარებს შინ დაითხოვს. ამ თოფ-იარაღის აყრას და ჯარების შინ დათხოვნას,—გარდა საპოლიტიკო და საფინანსო მნიშვნელობისა ოსმალეთს—საბერძნეთისა და ერთობ ევროპისათვის, დღეს სხვა მნიშვნელობაცა აქვს და ფრიად საყურადღებოცა. ამ მხრით რაც მალე მოხდება ეს ჯარების დაშლა და შინ დათხოვნა, მით უფრო სანატრელი და სასურველი უნდა იყოს ყოველ კაცთ-მოყვარე ადამიანისათვის. დღეს ევროპას ასეთი მტერი ჩასდგომია ზოგიერთს ადგილას, რომელმაც არც შებრალება იცის, არც მორიდება, არც თოფს უფრთხის, არც ზარბაზანსა და რომლის წინაღმდეგ კაცთა ნათესავს ჯერ ვერა ღონე, ვერა სახსარი ვერ მოუპოვებია. ეს მტერი ხოლერაა. ერთს ადგილას მოგროვება, შეჯგუფება და დგომა იმოდენა ჯარებისა, რომელიც დღეს საბერძნეთსა და ოსმალეთს თოფ-ქვეშ უყენიათ, დიდის უბედურების მომავლინებელია, თუკი საითმე ხოლერა ეწვია...

საქმე იმაშია, რომ იტალიაში ადრიატიკის ზღვის დასავლეთს ნაპირზედ ხოლერაა. ვენეტიკა, ვიჩენცა, ბრინდიზი, ოსტრენე და ორიო—სულ ეს ადგილები ხელში ჩაუგდია ამ საშინელს ჭირსა. თუმცა, ღვთის მადლით, ჯერ გაძლიერებული არ არის, მაგრამ... საუბედუროდ, დღეს აქამომდე კაცს ვერა ფერი წამალი ვერ აღმოუჩენია ამ ულმობელის ჭირისაგან გადასარჩენად. ადრიატიკის ზღვა ვიწრო ზღვაა, დასავლეთის ნაპირიდამ აღმოსავლეთის ნაპირამდე დიდი მანძილი არ არის. აღმოსავლეთის პირზედ თავი მოუყრია მაკედონიას, საცა დღეს მრავალი ჯარია თავ-მოყრილი. ამას ისიც დაუმატეთ, რომ ძლიერ ხშირია და შეუწყვეტელი მისვლა-მოსვლა ამ ორთა ნაპირთა შორის. დიდ-ძალი ხალხი თითქმის ყოველ ცისამარა დღე მიდის და მოდის. მაშასადამე, ადვილად მოსალოდნელია, რომ ადრიატიკის დასავლეთის ნაპირიდამ ხოლერა აღმოსავლეთის ნაპირზედ გადავიდეს...

კაცმა რომ ერთს წუთს პოლიტიკა დაივიწყოს და ამ მხრით შეხედოს დღევანდელ ჯარიანობას, არა გვგონია ჩვენთან ერთად არ ინატროს, რომ, თუ სხვა გზა არ არის და ჯარები დასაშლელია და შინ დასათხოვნი, ისევ მალე დაიშალოს და ამით ადვილად მოსალოდნელს დიდს უბედურებას დახსნას ისეც უბედური კაცობრიობა. მაინცა და მაინცა მეტი არ იქნება ჩვენებურმა სანიტარებმა ეს გარემოება სახეში იქონიონ და გასაფრთხილებლად ჯეროვანი ღონისძიებანი იღონონ. თუმცა ჯერ შიში შორს არის, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ ასტკივაო, ნათქვამია.

ახალი ამბავი

*** გუშინ-წინ, პირველ მაისს, გაიხსნა ქ. ტფილისში, მუშტაიდის ბაღის გვერდით, კავკასის სასოფლო მეურნეობის ბაღში, სკოლა «მებაღობისა». ამ სკოლას ექმნება საგნად მისცეს მოწაფეთ სწავლა, თუ როგორ უნდა გააშენოს კაცმა ბაღი და რა რიგად შეიმუშაოს მიწა და მოუაროს ხეხილს, რომ მიიღოს კარგი ნაყოფი; შეგირდებმა უნდა შეითვისონ პრაქტიკულად ის წესი, რომლითაც შეიძლება მეცნიერების გამოკვლევით გამრავლება ხეხილისა, ვაზისა და აბრეშუმის ჭიის მოშენება. გარდა ამისა, სკოლას ექნება მხედველობაში მისცეს სხვა გვარი სწავლაცა და კეთილად აღზარდოს ყ[illegible]მანი. პროგრამა სკოლისა დიდად ვრცელია და, თუ მასწავლებელნი და იმათი შეგირდები გამოიჩენენ გულ-მოდგინეობასა და მეცადინეობას მართლად ეს ახლად გახსნილი სკოლა მისცემს ჩვენს მშვენიერს და მდიდარს ქვეყანას სწავლულ მებაღეებს, იმ მებაღეებს კი არა, რომელსაც ჩვენ დღითი დღე ვხედავთ ქალაქებში და სოფლებში. სიტყვას «სწავლულ მებაღეს» ჩვენში ჯერ-ჯერობით არა აქვს ის მნიშვნელობა, როგორც განათლებულ ქვეყნებში, სწავლული მებაღე სხვა ქვეყნებში იღებს ორას თუმანზედ მეტს ჯამაგირს წელიწადში.

სკოლაში მიიღეს თორმეტი პანსიონერი. ამათში სამი რუსია, ხუთი ქართველი და ოთხი სომეხი. გარდა პანსიონერებისა გარედამ მოსიარულენი იქნებიან ექსნი. პანსიონერების ჭამა-სმა და ჩაცმა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ხარჯით იქნება, სკოლას ეძლევა მართებლობისაგან — ათი წლის განმავალობაში — სამას ორმოც და-ათი თუმანი ყოველ-წლივ, სხვა ხარჯი კი თვით სამეურნეო საზოგადოებისა იქნება.

სკოლის გახსნას ბევრნი დაესწრნენ. პარაკლისს შემდეგ მღვდელმა

ფელეტონი

უცხოთა შორის.

დღესასწაული პატარა საფრანგეთის ქალაქში.—ვინ იყო პარმანტიე.—კარტოფილი და მისი მნიშვნელობა კაცობრიობის ეკონომიურ ცხოვრებაში.—პარმანტიე და ლუდოვიკ XVI.—„კარტოფილის სადილი".—ესპანიის რეგენტშას ორსულობა.—ცერემონია ესპანიაში მეფეთ შვილის ყოლისა.—დოქტორი ფერანი და მის მიერ ხოლერის აცრა. კოკლენის ცუდად მიღება ბრიუსელში.—

ერთს საფრანგეთის პატარა ქალაქში, სახელად მონდიდიე, რომელიც ჩვენს გორზედ დიდი არ იქნება, სდგას ძეგლი. ამ ძეგლზე წარმოდგენილია კაცი და ხელში უჭირავს რაღაც ყვავილი. ვინ არის ეს კაცი, რით უჩენია თავი, რითი დაუმსახურებია თვის ქვეყანაში ესეთი სახსოვარი —აი ფიქრი, რომელიც მოუვა კაცსა, როდესაც პირველად ჰნახავს ამ ძეგლსა. სახელი მისი თითქმის დავიწყებულია ევროპაში, „დრომან შემუსრა, აღჰგავა" მისი ხსენება, მაგრამ დიდებულმა მისმა ღვაწლმა ბევრჯელ დაიხსნა დასავლეთის ერი შიმშილისაგან. ეს გახლავს ანტუანოგიუსტ პარმანტიე, მეაფთიაქე, რომელმაც ასწავლა საფრანგეთს «კარტოფილის" ხმარება საჭმელად. ჩვენ ვერ მივხვდებით ამის მნიშვნელობას, რადგანაც ჩვენში კარტოფილს პურის ალაგი არ უჭირავს, მაგრამ დასავლეთის ევროპის ნახევარი ნაწილი და ამერიკა ხმარობს მას, როგორც პურსა. ამ აპრილში შესრულდა ასი წელიწადი, რაც ეს მცენარე გაიცნო საფრანგეთმა, და პატარა ქალაქს მონდიდიეს, სადაც პარმანტიე დაიბადა, დიდი დღესასწაული იყო და ყრილობა.

ვინ, ან როდის მოიტანა ევროპაში კარტოფილი დასავლეთის ამერიკიდგან, კარგად არ იციან; ეს კი სარწმუნოა, რომ იგი მოტანილია პერუდგან, სადაც ამერიკის ველური კაცნი სჭამდნენ ამ მცენარეს, მინამ კოლუმბი ამერიკას იპოვნიდა. ამბობენ, რომ პირველად პერუ ანუ ჩილიდგან ეს მცენარე ესპანიაში ბერებმა მოიტანესო, მაგრამ კაცს კი არ უხმარია საჭმელად, მხოლოდ მით ღორებს ასუქებდნენო. პირველად კარტოფილის ჭამა დაუწყიათ ინგლისში ირლანდიელებს, და დღეს ამ მხარეში პური არც-კი მოიპოვება. შემდეგ მისი ხმარება დაუწყია გერმანიას, მაგრამ მცენარე ესე დიდ პატივში არა ყოფილა, როგორც დღეს არის, და მხოლოდ ეს საჭმელი ტუსაღებისთვის უძლევიათ. ბევრსა სცდილან გერმანიაში, რომ ხალხი შესჩვევიყო კარტოფილსა, მაგრამ ამაოდ. პარმანტიე ეგრედ წოდებულ „შვიდ წლოვანი" ომის დროს ტყვედ დაუჭერიათ გერმანიელებს და, რასაკვირველია, კარტოფილი უჭმევიათ. პარმანტიეს ეს მცენარე ძალიან მოსწონებია და გულში ჩაუდვია მისი გავრცელება თავის სამშობლო ქვეყანაში. როგორც ზევითა ვსთქვით, ამ დროს პარმანტიე, მეაფთიაქე ყოფილა, და ბეზანსონის აკადემიის გამოწვევით დაუწერია თხზულება მასზედ, რომ რა მცენარე შეიძლება იხმაროს კაცმა პურის სანაცვლოდაო.—ამ ასის წლის წინად დიდი შიმშილი ჩამოვარდებოდა ხოლმე ევროპაში, და სწავლულნი იმასა სცდილობდნენ, რომ როგორმე აეცილებინათ ეს უბედურება. კარტოფილის ხმარებამ დიდი ცვლილება მოახდინა კაცობრიობის ეკონომიურ ცხოვრებაში და დიდი შეღავათი მისცა მას. ამიტომაც მისი „ოფიციალური" შემომღები ითვლება კეთილ-მყოფელად კაცთა ნათესავისა.

მას შემდეგ, როდესაც პარმანტიემ კარტოფილის გემო გაიგო და თავის ქვეყანაში დაბრუნდა, თავის აზრის შესრულებას დაადგა.—მან გამოაცხადა საქვეყნოდ ქიმიური თვისება კარტოფილისა და დაამტკიცა, რომ იგი მაწყინარი არ არის. პარმანტიემ კარგად იცოდა, რომ ხალხის უმეცრების დათრგუნვას დიდი ხანი მოუნდებოდა და ჰფიქრა, რომ ეს საქმე მაღლიდგან უნდა დაეწყოთ. მან მიჰმართა საფრანგეთის მეფეს ლუდოვიკო მე-XVI-ტეს და ჰპოვა მასში დიდი მომხრე თვისის აზრისა. რომ ხალხს ცხადად დაენახოს და დათრგუნვოს მისი ცრუ რწმუნება ამა მცენარის მიმართ, პარმანტიემ მეფეს სთხოვა 50 დღის მიწა პარიჟის ახლო კარტოფილის დასათესავად, რომელიც მეფემ სიხარულით უბოძა. გაზაფხულზედ, როდესაც დათესილმა კარტოფილმა იხარა და აყვავდა, პარმანტიე კინაღამ გაგიჟდა სიხარულით. მოჰკრიფა მისი ყვავილები, თაიგულად შეჰკრა და წაუღო მეფეს ვერსალში. მეფემ დიდის სიხარულით მიიღო ეს ძღვენი, და ერთი ყვავილი გულზედ გაიკეთა; მეფეს ამალა დაცინვით უყურებდა თვის ბატონის საქციელს. ამ წამიდგან კარტოფილის საქმემ გაიმარჯვა. დიდ-კაცობა, რომელიც წინად პარმანტიეს ცდას სისულელეს ეძახდა, ეხლა გამარჯვებას ულოცავდა, და კარტოფილის ყვავილებს მანდილოსნები ბალში თმაში იკეთებდნენ. ეს ამბავი ხალხში გავრცელდა და პარიჟელები ათასობით მიდიოდნენ იმ მინდვრის სანახავად, სადაც კარტოფილი იყო დათესილი. დღისით ყარაულები იდგნენ, რომ ხალხს არ გაეთელა ნათესი. ერთს დღეს ყარაულებმა გამოუცხადეს პარმანტიეს, რომ ღამე კარტოფილი მოუპარავთო! პარმანტიემ ეს ამბავი სასიამოვნოდ მიიღო და დააჯილდოვა მახარობლები, რადგანაც იფიქრა, რომ თუ იპარავენ, მაშასადამე ხალხი მიხვდა მის სარგებლობასაო. პარმანტიემ ჯილდო გამოაცხადა მათთვის, ვინც კარტოფილს, ანუ როგორც დიდხანს ამ მცენარეს ეძახდნენ, „პარმანტიერებს" უკან დაუბრუნებდა, და თითქმის სუყველამ უკან მოუტანა. როდესაც კარტოფილი კარგად შემოვიდა, პარმანტიემ დიდი სადილი გამართა, რომელზედაც დაესწრნენ ფრანკლინი და ლავუაზიე. ამ სადილზე მარტო კარტოფილი იყო საჭმელად და მასპინძელმა ოც-და-ცამეტ ნაირად მოუტანა გაკეთებული ეს მცენარე თავის სტუმრებს. არაყი და ლიკიორები აგრეთვე კარტოფილისაგან აყო გაკეთებული. ეს «კარტოფილის სადილი» მთელ ევროპაში გაითქვა, და აქედგან დაიწყო მისი ხმარება მაღალ წოდების კაცთა მიერ. აი სწორედ ამ სადილის დღეს დღესასწაულობდნენ მონდიდიეში, რადგანაც 22 აპრილს სწორედ ასი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ.—პარმანტიემ ამ სადილის დღიდგან ორმოცი წელიწადი იცოცხლა, ბევრი სწერა კიდევ კარტოფილზედ და გარდაიცვალა 17 დეკემბერს 1813 წელსა, 75 წლისა, და თვალით დაინახა, რა სარგებლობა მოუტანა მან კაცობრიობასა. ეს იყო მისი საუკე-

წარმოსთქვა სიტყვა, რომლითაც აუხსნა თაეის ახალ მოწაფეთ, რომ მხოლოდ შრომა, სწავლა და კეთილ-ზნეობა მიანიჭებს მათ მომავალში ბედნიერებას და მისცემს პატიოსანს ლუკმა პურს.—სთხოვა მათ იყვნენ ბეჯითნი, მეცადინენი სწავლაზედ და არ ერიდებოდნენ მუშაობას. ეს მუშაობა არგებს თქვენს ჯან-ღონეს და შემდეგ სარჩო-ქონებას შეგძენთო, თვით მაცხოვარმა უჩვენა კაცს ეს გზა, როცა პირველნი კაცნი დაასახლა ედემსა შინა და დაუწესა იმათ მცნებათ: შრომითა შენით მოიპოვე შენ ლუკმა პური თო.

დიდის სიამოვნებით მივეგებებით ამ სკოლის დაარსებას და ვისურვებთ იმის კეთილ-დღეობას.

*** სენაკის მაზრიდამ გვწერენ, რომ ილორის საზოგადოებაში აგერ ერთი წელიწადია სკოლა არსებობს და მოთავსებულია სოფლის სასამართლო სახლშიო. აქ მშვენიერი სკოლა იყო აშენებული, მაგრამ დაუდევრობითა, თუ სხვა რამ მიზეზით, დაიწვაო. შეგირდების რიცხვი 65-ია, მაგრამ მსურველი სკოლაში შემოსვლისა 120-მდე იყოვო. სკოლაში ორი განყოფილებაა, შეგირდები კითხულობენ დედა ენას, რუსულს «Родное слово»-ს, ასამდე თელა და ანგარიში იციან და რუსულს ლაპარაკსაც ახერხებენო. შეგირდებს ყველას ბლუზები აცვიათო და ქუდებზედ აკერიათ რუსული ასოები И. Н. У., ვითომ Илорское Народное Училище-о. საერო სკოლების დირექტორს ლეონიკის ძალიან მოსწონებია სკოლაო.

*** რაჭიდამ შემოუთვლიათ: ჩვენი ორი თან-და-თან ძალიან გალამაზდაო. ამ ბოლოს დროს ახალ-ახალი სახლები შენდება, ბულვარიც გაკეთდაო და ფარნებიც დავმართეთ, რომ ბნელ ღამეში გვინათებდეს ქუჩებსაო. აქაურ ეკლესიაში კარგი ქართული გალობა არის და ხალხი ბლომად დაიარება წირვა-ლოცვაზეო.

*** «მწყემსის» უკანასკნელს ნომერში შემდეგი მკირე შენიშვნაა დაბეჭდილი: «ბაქოდგან ორას ვერსტის მოშორებით არის ერთი ადგილი, რომელსაც **მახაიდოვკას** ეძახიან (низовая пристань). ამ ადგილას ამ ოც-და-ორი წლის წინედ მოსულან რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილებიდგან რუსის გლეხები და დასახლებულან აქ. ამ მართლ-მადიდებელ გლეხებს 1885 წლამდე არც ეკლესია ჰქონიათ და არც საკუთარი მღვდელი ჰყოლიათ, რის გამო ზოგიერთ გლეხებს სარწმუნოება შერყეეიათ. ამიტომ დიდი ჯაფა და შრომა დასჭირდებოდა იმ მოძღვარს, რომელსაც ამ გლეხებს დაუნიშნავდნენ მღვდლად. აქ დანიშნულ იქმნა მღვდლად ერთი ახალგაზდა მღვდელი იოანნე დავიდოვი. მ. დავიდოვი მივიდა ახალ სამწყსოში თუ არა, მაშინვე შეუდგა ეკლესიის შენების საქმეს. მისგან დაწყებული ეკლესია მოთავებულ-იქმნა 1885 წ., მარტის ათს. ეკლესია მაშინვე აკურთხეს და ამ დროიდგან ამ ეკლესიაში მუდამ სრულდებოდა წირვა-ლოცვა. მ. დავიდოვმა ბევრი შრომა გასწია ამ ეკლესიის აშენებაზე. რადგან ადგილობით გლეხებს თავიანთ სიღარიბისა გამო მთლად თავისი ხარჯით არ შეეძლოთ ეკლესიის აშენება, ამიტომ მ. დავიდოვმა გამოითხოვა მთავრობისაგან ნება-რთვა ფულების შეკრებისათვის. ამ სახით მან შეკრიბა 200 მანათამდე. წმიდა სანთლის ვაჭრობიდგან შეჰკრიბა სამას მანათამდე. ადგილობით მაზრის სამმართველოდგან მიიღო სამას მანათამდე. ამაეე კეთილ-საქმეს მოახმარა ერთი წლის თავის ჯამაგირი 400 მ. გარდა ამისა მ. დავიდოვის თხოვნით და მეცადინობით ეკკლესიისათვის საჭირო ხის მასალა დაეთმო მღვდელს უფასოთ. კანკელი და სხვა ეკკლესიისათვის საჭირო ნივთები მოიპოვა უსასყიდლოდ და ამ გვარად მამა დავიდოვმა ცოტა ხანში აუშენა ზემოთ მოხსენებული ეკკლესია, რომელსაც კაცი ვერ აუშენებდა სამი ათას მანათ ნაკლებ.

ეხლა ეს პატრვ-ცემული მოძღვარი გადმოყვანილ იქმნა გორის მაზრაში სოფელს ზემო-ნიქოზის მღვდლად. აქაც მამა დავიდოვს მოელის არა ნაკლები შრომა და ღვაწლი. ამ ღვაწლს და შრომას მოითხოვს მისგან ამ სოფლის ძველი ტაძარი, რომელიც აშენებულია მეხუთე საუკუნის ნახევარში და რომელშიაც გვინისენებს გვამი წმიდა რაჟდენისა. ეს ტაძარი დროთა-ვითარებისაგან ისე არის მიხრწნილი, რომ, თუ მალე არ მიექცა მას ყურადღება, მთლად დაიქცევა და ამ გვარად საქართველოს დაეკარგვის შესანიშნავი ძველი დროის ნაშთი. მ. დავიდოვი, როგორც გავიგეთ, კიდეც შესდგომია ამ საქმეს და იმედია, რომ, თუ მას ხელს შეუწყობენ ჩვენი საქართველოს შვილნი, ამ საქმეს კიდეც მალე დააგვირგვინებს. მ. დავიდოვს უკვე უთხოვია მთავრობისათვის, რათა მიეცეს მას ეკკლესიის შეკეთების და ამ ეკკლესიასთან სკოლის გახსნის ნებართვა».

*** ერთი პეტერბურგელი გაზეთი ამბობს, რომ ამ ზაფხულს მიდის კავკასიაში ა. ვისოცკიო, რომელსაც აზრათ აქვს გამოიკვლიოს ძველის-ძველი ნაშთნი ქრისტიანობისაო. ვისოცკი დიდი ხანია სწავლობს ქრისტიანობის ისტორიასაო და იმ აზრისაა, რომ ქრისტიანობა კავკასიაში უფრო ადრე იყო, ვიდრე ზოგიერთ ჩვენ სწავლულთ ჰგონიათო.

*** „ერთმა ქალმა, ამბობს გაზეთი «Новое Обозрѣніе» გვიამბო შემდეგიო: ამას წინად გაემგზავრე შვილებით ბოტანიკის ბაღში და მინდოდა პატარა ხანს დაერჩენილიყავ იქ კარგის ჰაერის გულისათვისაო. თან წავიღე მცირეოდენი სანოვაგე და ერთი ბოთლი ღვინო საუზმედ. როგორც ვიპოვეთ ადგილი, გავშალეთ სუფრა, გაჩნდა ვიღაც ჩოხიანი კაცი და მოგვეთხოვა ერთი აბაზი: ღვინო თან რად მოგიტანიათო.—ღვინო ჩემია, მე მოვიტანე და შენ ფული რად უნდა მოგცე მეთქი, უთხარი მეო. – იმიტომ რომ ჩვენა გვაქვს აქ ბუფეტი და ბაღიც იჯარით აღებულიო და რა სარგებლობა გვექმნება, თუ ყველა, ვინც მოვა, თან მოიტანს ღვინოსაო. ახალი წესი გამოვიდა გენერალ-მოროზოვისაგან (?) უთუოდ უნდა გადაიხადოთო.—წადი, ეგ წესები მომიტანე და ბაღის მოჯარადრესაც აქ დაუძახე; თუ მართლა მაგ ნაირი ახალი წესია, მოგცემ მეთქი. კაცი წავიდა და აღარ დაბრუნებულაო.

«ნეტა ვიცოდეთო, აქვს თუ არა ნება, რომ მებუფეტე ასე მოიქცეს და ის მცირე სიამოვნებაც, რომელსაც სიცხიან და მტვრიანს ქალაქში კაცი ბოტანიკის ბაღში ჰგრძნობს, სულ ერთიანად ჩაუშხამოს ვიღაც მებუფეტემ და მისმა კაცებმაო?“

*** ამაეე გაზეთს სწერენ, რომ განჯაში შუადღისას მოედანზე ვიღაც თათრის ახალ-გაზდამ ხანჯალი შესცა მუცელში და მოკლა ერთი კაცი, რომელსაც ამ თათრის ქვრივს დედაზე ჯვარი დაეწერა.—რად დაიწერე ჯვარი დედა-ჩემზე, როცა მე შინ არ ვიყავი და სამის ღლით სხვაგან წაეედიო, უთხრა თურმე მკვლელობის წინად ამ ახირებულმა ახალ-გაზდამ თავის მამინაცვალს.

*** 1 მაისს, მე-10 განყოფილებაში აზნაურს ანდრია სტეფანეს-ძეს ზუბრიცკის შემთხვევით გაუვარდა რევოლვერი. ტყვია მოხვდა შვილაბრაის ქვეშევრდომს ვასილ ალექსანდრეს-ძეს ბერიძეს და მძიმედ დასჭრა. დაჭრილი სამკურნალოში იქმნა გაგზავნილი. გამოძიება სწარმოებს.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

განათლებული ხალხი ბევრი გვუავსო, განათლებული ხალხი საზდოს ვედარა შოულობსო, გაიძახიან ვითომ რუსეთის ერთგულნი და გულ შემატკივარნი.—განათლებული ხალხი ძალიან ცოტა გვუავსო, უპასუხებს ამათ რუსეთის მწერალი ქალი, ქ-ბ-ნი ცებრიკოვისა.

გადასინჯეთ სტატისტიკური ცნობებიო,—ამბობს ქ-ბ-ნი ცებრიკოვისა გაზეთ „Русскія Вѣдомости“-ში, და აშკარად დაინახავთო, რომ მხოლოდ ოსმალეთი თუ ჩამოუვარდება რუსეთს, თორემ სხვა არც ერთი ქვეყანა არ მოიპოვება, სადაც ასე ცოტა ექიმი, ასე ნაკლები სკოლის მასწავლებლები იყვნენ, როგორც რუსეთშიო. არსად, გარდა ოსმალეთისა, ისე ცოტა წიგნები, მეტადრე სამეცნიერო, არ იბეჭდება, არსად ასე ცოტა ჟურნალ-გაზეთობა არ გამოდის, არსად ასე ნაკლებ საშუალო და მაღალი სასწავლებლები არ არისო, როგორც რუსეთშიო. აგრეთვე ისე ნაკლებ არსად არ არიან საქმის მცოდნე კაცები, ისე ნაკლებ ქვეყნის სიმდიდრე არსად არის შემუშავებული, როგორც რუსეთშიო. და ბოლოს კიდევ, ისე მცირედ არსად არ არის გავრცელებული წერა-კითხვა, ისე ნაკლებ არსად მოიპოვება ნამდვილად განათლებული ხალხი, რომელიც თავისუფალ დროს სასარგებლო, გამოსადეგ წიგნების კითხვას ანდომებდეს და არა შაღალდის თამაშობასა, როგორც რუსეთშიო. ყველა ეს ცხადად გვიმტკიცებს, რომ ჩვენ გვჭირს განათლებული ხალხი, რომელსაც შეიძლოს უფრო უკეთ განათლებული, უფრო კაცური ახალთაობა აღზარდოსო.

ამის წინააღმდეგ მხოლოდ ის იტყვის რასმეს, ვინც განგებ თვალებსა ჰხუჭავს და ვინც უმეცრებისა და სასახელო ჯილდო მის ცხოვრებისა!

***

როგორც მკითხველებმა უკვე იციან, წრეულს ესპანიაში გარდაიცვალა ახალ-გაზდა მეფე ალფონსი, და მემკვიდრეთ დაინიშნა მისი ექვსის წლის ქალი მერსედეს და რეგენშტად დედოფალი ქრისტინა. დედოფალი ორსული დარჩა; და თუ ვაჟი ეყოლება, ის იქნება მემკვიდრედ. ეგონებ ამისთანა ამბავი ჯერ არა ყოფილა ევროპაში. რადგანაც მეფეთა შვილის ყოლას ესპანიაში სულ განსაკუთრებითი ჩვეულება მოსდევს, ამიტომ მეტი არ იქნება, რომ მკითხველებს გავაცნო ეს საკვირველი კანონი იბერიისა. დედოფალ-რეგენტშამ ესპანიის სამღვდელოებას აცნობა წერილით, რომ მეცხრე თთვეში ჩაედექ ორსულობისაო, და ილოცეთ ჩემთვის, რათა მშვიდობიანად მოვრჩეო. როდესაც დედოფალს მუცელი ასტკივა, სახელმწიფო რჩევა უნდა შეიყაროს სრა-სასახლეში. როდესაც ყმაწვილი დაებადება, მდადეთა-უხუცესი დიუშესა **შედინა დელა ტორეს** აუწყებს ამ ამბავს მინისტრთა რჩევის პრეზიდენტს და ეტყვის, ვაჟია თუ ქალი; პრეზიდენტი ამ ამბავს გარდასცემს თავის მხრით მადრიდის ჯართა უფროსს, რათა მან გამოუცხადოს ხალხსა. თუ ვაჟია, სასახლის თავზედ ამართვენ ესპანიის დროშას და ოც-და-ერთჯერ ზარბაზანს დასცლიან; თუ ქალია, თეთრს დროშას ამართავენ და ზარბაზანს თხუთმეტჯერ დასცლიან. თუ ღამე დაიბადა, მაშინ დროშის მაგიერ წითელ ფარანს აუნთებენ და ქალს თეთრსა. სადაც დედოფალი იწვება, მის ოთახის გვერდით დარბაზში უნდა იყვნენ მინისტრთა პრეზიდენტი და ყველა მინისტრი, სახლთ-უხუცესები, დიპლომატიის კორპუსი, დეპუტატები კამერისა და სენატისა, გრანდთა და აზნაურთა მარშალი, ჯარის უფროსი (სარდალი), სამღვდელონი და მრავალნი სხვანი. ყმაწვილი რომ დაიბადება, მაშინვე ბალიშზედ დააწვენენ, ვერცხლის სინზედ დასდებენ, და მდადეთ-უხუცესი, პრეზიდენტითურთ აჩვენებენ ყველა დამსწრეთ ახალ შობილს. სამსჯავროო მინისტრი შეადგენს «ოქმსა» დაბადებისასა და სახელმწიფო ბეჭედს დაჰკრამს ამ ქაღალდს. ამით თავდება ცერემონია და შვილს ისევ დედას მიუყვანენ.

***

იტალიაში, როგორც გაზეთებმა გვაუწყეს, ხოლერა გაჩნდა, თუმცა ჯერ გაძრიელებული არ არის ეს ჭირი. ამ ჭირმა კიდევ საქვეყნო სარბიელზედ გამოიყვანა ესპანიის დოქტორი ფერანი, რომელიც ხოლერას უცრის. 1884 წელსა, როდესაც იტალიაში ძალიან გავრცელებული იყო ხოლერა, დოქტორ ფერანმა ხოლერის აცრა დაიწყო. აცრილთა შორის ასიდგან მარტო ხუთი კვდებოდა, და აუცრელთა-შორის-კი ნახევარზედ მეტი იხოცებოდა. თუმცა აშკარა იყო ეს საქმე, მაგრამ, ფერანს ბევრი მტერი გამოუჩნდა, როგორც ეხლა პასტერსა ჰყავს. როდესაც ხმა გავარდა ამ ამბისა, საფრანგეთმა რამდენიმე წევრი სამკურნალო აკადემიისა გაგზავნა ესპანიაში ფერანთან, რათა გამოიკვლიოს მისი მეთოდა. ამ წევრთა და ფერანის შუა «განხეთქილება» აღმოჩნდა. ფერანს თვისი ასაკრელი «წამალი» საიდუმლოთა ჰქონდა, და არავის აჩვენებდა, თუ როგორ აკეთებს იმ წამალს, რომელსაც სისხლში ურევს. ფერანი იმითი იმართლებდა თავსა, რომ პარიჟის აკადემიაში პრემია არისო 200,000 ფრანკისა დანიშნულიო, ვინც ხოლერის წამალს მოიგონებსო, და მე რათ ვიტყვი ჯერა ჩემს საიდუმლო წამალსაო. გასინჯეთ, ნახეთო, თუ უგბარი გამოდგეს ჩემი წამალიო, პრემია მომეციოთო და მაშინ გასწავლით მის გაკეთებასაო. საფრანგეთის ექიმები ამაზედ არ დასთანხმდნენ და მაშინვე უკანვე დაბრუნდნენ. მაშინ ფერანმა იმავე პარიჟის სამკურნალო აკადემიას მიჰმართა და სთხოვა გარჩევა, ამ შემთხვევაში ვინ არის მტყუანიო. აკადემია ძნელ მდგომარეობაში იყო, რადგანაც ფერანთან გაგზავნილი ექვსი დოქტორი აკადემიის წევრათ ირიცხებოდნენ, და თავის-თავს ხომ ვერ გაამტყუნებდნენ. მაინც აკადემიამ ამ საქმეს ერთი ხრიკი გამოაბა: მოსთხოვა ფერანსა ოფიციალური ცნობა, რამდენი აგიცრიაო, და მათ შორის რამდენი მომკვდარაო; მინამ ეს ცნობები არ გვექნება, მინამ თქვენს მეთოდაზედ ვერას ვიტყვითო. ფერანმა აკადემიას ამაზედ ხმა არ გასცა და თავის ექიმობას თავი არ დაანება. ეხლა გაზეთ «ფიგაროში» გამოაცხადა სტატისტიკური ცნობები. ამ ცნობებიდგანაც სჩანს, რომ აცრილთა შორის იხოცება ასში არა უმეტეს ორისა, მაშინ როდესაც აუცრელები ასში ოთხმოცი იხოცება. ფერანსაც ისეთი საქმე მოსდის, როგოც პასტერსა. უმეცრება ითხოვს, რომ ისეთი წამალი უნდა იყოსო, რომ ყველას არგოსო; ამისთანა წამლის მოგონება შეუძლებელია, და საქმე იმითი ჰფერხდება. პასტერს რომ სამი რუსი მოუკვდა, მოქიშპე გაზეთები აყაყანდნენ, მისი მეთოდა ტყუილიაო! ფერანსაც ეს საქმე მოსდის!... ეტყობა მე XIX საუკუნეშიაც ძნელი ყოფილა უმეცრების დათრგუნვა!...

***

საალდგომოთ «საფრანგეთის კომედიის» მსახიობნი ბრიუსელში (ბელგიაში) წავიდნენ რამდენისამე წარმოდგენის გასამართავად. როდესაც პირველად გამოჩენილი არტისტი **ჯოჯენი-უფრახი** სცენაზედ გამოვიდა, საშინელი შტევნა მოისმა. თუმცა ხალხი დაამშვიდეს, მაგრამ კოკლენს ძალიან ეწყინა. აი რისთვის იძიეს შური ბელგიელებმა. „საფრანგეთის კომედიაში“ *) არის ერთი ბელგიელი ქალი, სახელად **დუდლე**, ტრაღედიის **აქტრისად**. კოკლენსა და ამ ქალს რაღაც უსიამოვნობა მოუვიდათ, ასე რომ კოკლენმა დირექტორს არზა მისცა, თუ დუდლე არ დაითხოვეთო, მე გამოვალ სამსახურიდგანაო. ამ საქმეში მინისტრიც ჩაერია, მაგრამ ვერ შეარიგეს. მაშინ მინისტრმა გადასწყვიტა, რომ დუდლეს ვერ დავითხოვო. კოკლენი აპირებს კომედიდგან გამოსვლას. დუდლეს ქალი ბელგიელი არის და საზოგადოებამ შური აგო კოკლენსა, რადგანაც ქალს გადაეკიდა და ეს უზრდელობაში ჩამოართვეს.

დონ. ენ.

*) ერთს თეატრსა ჰქვიან ეს სახელი.

ბას და სიბნელეს განათლებასა და სინათლეს ამჯობინებს.

* *
*

ჭლექით ავად-მყოფებისათვის ყველაზედ ძნელი ასატანი დრო გაზაფხულია. გაზაფხულისთვის ამ გვარი ავად-მყოფი იმისთანა ადგილებს ეძებს, სადაც განკურნება თუ არა, ცოტაოდენი შვება მაინც უნდა მიეცეს. ამიტომ მეტი არ იქნება ზოგიერთი ცნობა შევატყობინოთ მკითხველებს ამის შესახებ. —გავრცელებული აზრია, ვითომ ჩრდილოეთ ქვეყნებში საჭლექე უფრო ხშირია და ძნელად ასატანი, ვიდრე სამხრეთ ქვეყნებში. ამიტომ ჭლექით ავად-მყოფებს აქამდინ ჩრდილოეთიდამ სამხრეთსა ჰგზავნიდნენ. ეხლა ყაზანის პროფესორს ლიუბიმოვს გაზეთ «Волжскій Вѣстникъ»-ში დაუბეჭდია რამდენიმე წერილი, სადაც ამტკიცებს რომ ეს აზრი უსაფუძვლოაო.

მეცნიერული გამოკვლევა გვარწმუნებსო, ამბობს პროფესორი ლიუბიმოვი, რომ სამხრეთ ქვეყნებში ჩრდილოეთზედ არა ნაკლებია ჭლექი, მაგალითად, ირლანდიაში, ერთს ძალიან შორეულ ჩრდილოეთს კუნძულზე, ჭლექი ძალიან იშვიათია და არც სწრაფად ულევს ბოლოს ავად-მყოფსაო. აგრეთვე იშვიათია ჭლექი ფერრარის კუნძულებზეო, რომელიც ჩრდილოეთში მდებარეობსო. და რამდენიც კი უფრო სამხრეთისკენ ჩამოვალთ, იმდენად ჭლექს უფრო ხშირად შევხვდებითო. შვეციასა, ნორვეგიასა და დანიაში მაგალითად ჭლექს უფრო ხშირადა ვპოვულობთო. გერმანიაშიაც სიჭლექე ერთნაირად არ არის გავრცელებულიო: ჩრდილოეთ გერმანიაში, რომელიც ზღვის ახლო მდებარეობს, ისე ხშირად არ არის ჭლექი, როგორც სამხრეთ გერმანიაში და მეტადრე ბავარიასა, ვირემბერგსა და მდინარე დუნაის ნაპირებზე მდებარე ადგილებშიო. ავსტრიაში ერთ ნაირად არის გავრცელებული სიჭლექე, როგორც ჩრდილოეთს ისე სამხრეთ ნაწილში და უფრო დაბლობ ადგილებში და წყლის ნაპირებზე. ინგლისსა, შოტლანდიასა და განსაკუთრებით ირლანდიაში საშინლად არის გავრცელებული ჭლექი. აქ საკმაოა ვსთქვათო, რომ ინგლისში ყოველ წლივ 60 ათასი კაცი კვდებაო ჭლექით. ბელგიაში და საფრანგეთშიაც ხშირია ჭლექი, თუმცა ისე კი არა, როგორც ინგლისშიო. იტალიაში ხშირად უფრო ჩრდილოეთ ნაწილში ვპოვულობთ ჭლექსა, ვიდრე სამხრეთში. ისპანიაში უფრო ჩრდილოეთ ნაწილის მაღლობ ადგილებზეა გავრცელებული ჭლექი, თუმცა არც სამხრეთი ნაწილია ამცდარი ამ სენსა. ხმელთა შუა-ზღვის კუნძულებზედაც ხშირია ჭლექი. საბერძეთში უწინ ისე ხშირი არ იყო ჭლექი, როგორც ამ უკანასკნელს დროს. ოსმალეთში უფრო კიდევ ხშირია, ვიდრე საბერძნეთში. მეტადრე სტამბოლია განადგურებული ამ მხრით.

სამწუხაროდ, ავტორი ჩვენ ქვეყანაზე არას ამბობს. ურიგო კი არ იქმნებოდა, რომ მეცნიერებს ჩვენის მხარისთვისაც ყური მიექციათ: შავის ზღვის პირები, და მეტადრე სოხუმი, ერთს საუკეთესო ადგილად ითვლება ჭლექების გამოკეთებისათვის და ექიმებიც ხშირად ჰგზავნიან ხოლმე ამ ავად-მყოფობისათვის. მაგრამ აქამდინ სწორედ-კი არავინ ვიცით, რამდენად სამართლიანად აქვს დამსახურებული შავის ზღვის პირებს ასეთი სახელი.

* *
*

ვინ მოიფიქრებდა, თუ ყველაში თავისუფალნი და თავისებურნი ამერიკელები, ისეთ პრანჭვა-გრეხიობას გამოიჩენდნენ, რომ თვით მაღალის წოდების ინგლისელებისთვისაც-კი გადუჭარბებიათ.

ამერიკაში, მაღალის წოდების საზოგადოებაშიო, მოგვითხრობს გაზეთი „Петербургскія Вѣдомости", ზოგიერთ შემთხვევაში ისეთი სიფთხილე და წინდახედულობა უნდა ლაპარაკის დროსაო, რომ თვით ინგლისელებსაც კი აკვირვებსო. ზოგიერთის სხეულის ნაწილების, თუნდ ვსთქვათ, ზურგის დასახელება ამერიკის საზოგადოებაში სამარცხვინოდ და უზდელობად ითვლება. თუ ამერიკელი მწერალი ინგლისურს რომანსა სთარგმნის და იქ შეჰხვდა, ვსთქვათ ამისთანა ამბავს რომ ქალმა ფ ე ხ ი მოიტეხაო, ამ სიტყვას უთუოდ გამოსტოვებს, როგორც უწმაწურ სიტყვას. ამ ხანებში ერთი ინგლისელი ამერიკის საზოგადოებაში დასწრებია. საწყალს ინგლისელს რაღაცა წამოსცდა: ქალებმა სირცხვილით თავები ჩაჰკიდეს, კაცები ძალიან გულზედ მოვიდნენ. ინგლისელი ვერ მიმხვდარიყო, რა სთქვა განა ისეთი, რომ ყველას ასე აწყენინა. ბოლოს ერთმა ხნიერმა კაცმა მეორე ოთახში გაიყვანა შერცხვენილი ინგლისელი და აუხსნა მას მისი უზდელობა. აი რა უზდელობა ჩაუდენია ინგლისელს: თურმე ნუ იტყვით ამ უზდელს კაცს წამოსცდენია და უთქვამს, რომ თევზს მეცალი აქვსო.

საკვირველია, ამერიკელების ასეთი ახირებული ზდილობიანობა! მაგრამ სხვა რაში არ არიან საკვირველნი ამერიკელები!...

უცხოეთი

(მოწერილი ამბავი)

პარიჟი, მაისის 3-ს. გუშინ მოხდა აქ ერთის დეპუტატის არჩევანი. კანდიდატების რიცხვი ორი იყო მარტო. ერთი წარმოადგენდა რადიკალ-სოციალისტების დასს, მეორე—სოციალ-რევოლიუციონერებისას. სხვა დასებმა, ოპორტუნისტებმა, მონარქისტებმა და ზომიერებმა, თითქოს სხვების ბრძოლის ცქერით სიამოვნება მოინდომესო, კანდიდატები არ წამოაყენეს. ამ ნაირად პარიჟის საარჩევანო ბრძოლის სარბიელი დარჩათ ორს დაწინაურებულს დასს. რადიკალები, თუმცა საკმაო ძალას წარმოადგენენ ეხლა საფრანგეთში, მაგრამ უმეტესობას ისინი მაინც ვერ შეადგენენ. მხოლოდ პარიჟში არიან ისინი მაგრად ფეხ-მოკიდებულნი. წარსულის არჩევნების დროს გამარჯვება იმათ დარჩათ პარიჟში. ეხლა როცა სხვა დასებმა ალაგი დაუთმეს რადიკალებს, მათ დაუწყო გამათობა რევოლიუციონერების დასმა.

ამ ხანად გამარჯვება ისევ რადიკალებს დარჩათ, მაგრამ ეს არჩევანი გვიმტკიცებს, რომ მათი მოცილენი უფრო-და-უფრო ძლიერდებიან. რადიკალების კანდიდატმა მიიღო 145,000 ხმა, რევოლიუციონერებისამ 100,000. წარსულის არჩევანის დროს რადიკალების სიამ 200,000-ზე მეტი მიიღო, რევოლიუციონერებისამ კი 30,000.

ამის მიზეზი შეიძლება იმდენად სარევოლიუციო აზრები არ იყოს, რამდენადაც მართებლობის შეცდომები. ამის მიხვედრა ადვილია, როცა გავიხსენებთ, ვინ არის რევოლიუციონერების კანდიდატი. ის არის ერნესტ როში, რომელსაც ამას წინად დეკაზვილში მოქმედებისათვის თხუთმეტის თვით ციხე გადაუწყვიტეს. როშს დეკაზვილში ამხანაგად ჰყავდა დუკ-კერსი, რომელსაც იგივე სასჯელი განუწყვეს. ამათ დატუსაღება და მერე გასამართლება ისეთის გარემოებით მოხდა, რომ მთელის მუშების და რადიკალების პროტესტი გამოიწვია.

როში, *L'intransigeant*-ის და დუკ-კერსი, *Le cri du peuple*'-ის თანამშრომლები, დეკაზვილში იყვნენ იქაურის მუშების ჩასაგონებლად და ხელის გასამართავად. ისინი აქეზებდნენ მუშებს, მართავდნენ კრებას და თანაც ამბებსა სწერდნენ თავიანთ გაზეთებში. საფრანგეთის სჯულით მუშებს აქვთ მუშაობის თავის ნება, მხოლოდ ამის მისაღწევად აკრძალულია სიცრუისა, ხრიკების და მუქარის ხმარება. სწორედ რომ ეს დანაშაულობა დაინახა მმართებლობამ როშისა და დუკის მოქმედებაში და ამისთვის მათი დატუსაღება. დატუსაღეს ისინი ხმალამოღებულმა ჟანდარმებმა სისხამ დილა-ადრიან და თანაც ხელები გაუკრეს ხელ-ბორკილებით. დატუსაღების შემდეგ თხუთმეტის თვით გადუწყვიტეს ციხეში ჯდომა.

საზოგადოება ისე დატუსაღების ამბავმა არ შეაწუხა, როგორც კერძო გარემოებათ: დილა ადრიან დატუსაღებამ და ხელ-ბორკილებმა. სასჯელიც რომ ნაკლები დაედოთ, საზოგადოებაც ნაკლებ შეფოთდებოდა. მაგრამ არც თვით დატუსაღება მიაჩნდათ საჭიროდ. მართალია, როში და დუკი ბევრს იმისთანას სწერდნენ გაზეთებში, რომელიც ტყუილი გამოდგა, მაგრამ ამით უფრო პარიჟელი მკითხველები ტყუვდებოდენ, ვიდრე დეკაზვილის მუშები, რომელთაც თავიანთ ამბავი უკეთ იცოდნენო. რადიკალების აზრით, როში და დუკი უნდა გაესამართლებინათ იმ სასამართლოში, სადაც მბეჭდელობის დანაშაულობანი ირჩევიან ხოლმეო.

პარიჟის რევოლიუციონერებმა გამოიდეს თავი და მართებლობის გამოსაჯავრებლად მოინდომეს მომავალის არჩევანისთვის როშის ან დუკ-კერსის კანდიდატობა. სწორედ თითქოს ამ შემთხვევისათვის 2 მაისს იყო დანიშნული ერთის დეპუტატის არჩევანი როშფორის სამგიეროდ, რომელმაც თავისთავად აიღო ხელი დეპუტატობაზე. კენჭით როშს შეხვდა კანდიდატობა. მართებლობა იძულებული იყო ის ციხიდგან გამოეშვა დროებით, რომ მას თავის კანდიდატობა დაეცვა ამომრჩევლების წინაშე.

რადიკალებმა, თუმცა ძალიან შეწუხებულები იყვნენ მართებლობის საქციელით, არ მიიღეს კანდიდატად რევოლიუციონერი და დანიშნეს რადიკალ-სოციალისტი გოლიე. საარჩევანო ბრძოლა ისე ცხარე და ქინიანი იყო, რომ ცოტა გაწყდა დუელი არ მოხდა როშფორისა და ერთის რადიკალის გაზეთის რედაქტორს შუა. ოპორტუნისტები თუმცა რადიკალს კანდიდატს რჩევობდნენ, მაგრამ არჩევანში მონაწილეობის მიღებაზე უფრო ჰქადაგობდნენ. მონარქიელები კი იძახოდნენ, რომ ჩვენ როდ ღმერთი გაგვწყრომოდა და რესპუბლიკელები გვყოფილიყავითო, უთუოდ როშს მივცემდით ხმასაო. ისინიც მონაწილეობის მიუღებლობას ურჩევდნენ თავიანთ მომხრეებს.

იმ დროს, როცა დეკაზვილში ფული და შრომა ერთმანერთს უმკლავდებიან, როცა პარიჟში მშვიდობიანად და საფუძლიანად წინსვლას სწრაფი და უცები წინარბენა ეჭიდავება, აქაური მოსწავლე ყმაწვილობაც იბრძვის. თუმცა იმას დადებულს წესად მიუღია სწავლა და სიამოვნება, ხანდახან იძულებულია ხოლმე დაიმკლავოს და თავს დაესხას მოწინააღმდეგეს. ამ ხანად ერთს ამბავს მოგითხრობთ მათ დასახასიათებლად.

ერთს ახლად გახსნილს ყავახანაში პატრონს ჩამოეკიდნა ბ-ნ ნევილის მხატვრობა საფრანგეთის და გერმანიის ომის შინაარსით. სტუდენტებს ეს თურმე ჭკუაში არ მოუვიდათ: როგორ თუ ყავახანაში, სადაც ჩვენ ამდენს სისაძაგლეს ვეწევით, მაგისთანა წმინდა სურათი ჩამოუკიდნიათო. მოითხოვეს მის ჩამოღება. პატრონი რომ არ დათანხმდა, სტუდენტები ძალაზე დადგნენ, გამართეს კრიკი და ერთი ვაი-ვაგლახი. ჩაერია პოლიცია და გარეკა სტუდენტები. ამ ნაირი ამბავი ხელ-ახლად მოხდა კიდევ, პოლიცია კიდევ ჩაერია, და რამდენიმე კაცი დაიჭირა და დაატუსაღა. ბოლოს სურათი ჩამოაღებინეს. სტუდენტები სწავლობენ, ქეიფობენ და უზომოდ პატრიოტობენ. აი მათი ხასიათი.

პატრიოტობის აღძვრას დიდად ხელს უწყობს საზოგადოება. თითქმის აღმერთებენ თავიანთ გმირებს, ფრანგები ძეგლს ძეგლზედ აღმართვენ ხოლმე გმირთა სადიდებლად. სადაც კი პრუსიელებს ფეხი შეუდგამთ, ყველგან ძეგლი იხსენიებს ბრძოლაში დახოცილს ფრანგებს. ეხლა, სხვა ძეგლებზე რომ არა ვთქვათ რა, გამართულია ხელისმოწერა ერთის დიდის ძეგლისთვის საერო დაცვის სადიდებლად. კითხვა არ უნდა, რომ ამნაირი საერო გმირების თაყვანება და საშობლოს გაღმერთება კარგი რამ არის და საფრანგეთის ერს თუ ჩაუდგამს მამაცობისა და თავ-განწირულობის სულს, ამ-ნაირი გმირთა დიდება ჩაუდგამს მხოლოდ. ის კი ვერ არის კარგი, რომ მეტის-მეტად შეუგნებელი პატრიოტობა აქაურს სტუდენტებს მეყავახანეებთან აკრიჭებს, მტერთან ბრძოლის მაგიერ.

ფრანგები თაყვანს სცემენ არა მარტო თავიანთ გმირებს, არამედ ყველა მამულის შვილების წარმომადგენელთ. ერთი კომიტეტია შემდგარი, რომელიც ფულებსა ჰკრებს გამოჩენილის ვერცინგეტორიქსისთვის ძეგლის ასაგებად. ვერცინგეტორიქსი, როგორც მოგეხსენებათ, იყო გალლიელი და ებრძოდა იულიუს ცეზარს იმ დროს, როცა ფრანგების ხსენება ჯერ არსად იყო. ფრანგების გასაჩენად საჭირო იყო, რომ ცეზარს დაემარცხებინა ვერცინგეტორიქსი და გალლია რომის პროვინციად გამხდარიყო. ამის მიუხედავად ფრანგებს მაინც უნდათ გაამეფონ გალლიის გმირის სახელი და დიდება.

იმ ცდასთან რომ შინ გამაგრდნენ მტრის დასახვედრად, ფრანგები იმასაც ცდილობენ, რომ გარედ გაავრცელონ თავიანთი გავლენა ფრანგულის ენის საშუალებით. ამ აზრით ორი წელიწადია რაც დაარსდა კოლონიებში და უცხოეთში ფრანგულის ენის გამავრცელებელი საზოგადოება. ამ საზოგადოებას ეტყობა, კარგად ჰქონია შეგნებული, რომ რომლისამე ქვეყნის ენისა და აზრების მფლობელობას ადვილად მოსდევს პოლიტიკური კავშირი და მეგობრობა იმ ქვეყანასთან, სადაც ისინი არიან გავრცელებულნი. ფრანგებს ძალით ან მოხერხებით არსად უვრცელებიათ თავიანთი ენა, იგი თავისთავად ვრცელდებოდა და საკმაოდაც გავრცელებულია თავის საკუთარის ღირსების გამო. ეხლა, რაკი მას მოცილენი და მტრები გამოუჩნდნენ, ფრანგებმაც მხნედ მოჰკიდეს ენის გავრცელებას ხელი. ფრანგულის ენის დამარცხებისა და დამცირების შიშმა ზოგიერთები ისე დააფთხო, რომ სრულიად უარსა ჰყოფენ ფრანგებისთვის უცხო ენის შესწავლას. ჩვენ რომ უცხო ენები შევისწავლოთ, უცხონი ჩვენსას აღარ შეისწავლიანო. და, იმათ იტეხონ თავი და ისწავლონ ჩვენი ენაო. ეს დასკვნა კი სწორედ შიშის ზარისაგან არის გამოწვეული!

დ. კ—შვილი

რუსეთი

ვიღაც ტაინი სოვეტნიკ ს—ოვს დაუწერია დიდი წერილი რუსეთის ფინანსებსა და ეხლანდელის ფინანსთა მინისტრის ნ. ხ. ბუნგეს საფინანსო პროგრამაზედ. ტაინი სოვეტნიკი მე-60 წლის საფინანსო გამგეობაზედ ამბობს, რომ მაშინ რუსეთი ევროპის გავლენის ქვეშ იყოვო, ბრმად ემორჩილებოდა ყველაფერს ევროპიულს, რადგანაც ის დრო გატაცების დრო იყოვო. მაშინ მთელი ჩვენი შინაგან საქმეთა გამგეობაც-კი ეროვნულს გზას არ ადგაო. ამიტომ ყოველი საფინანსო განკარგულება უდღეო და უნაყოფო გამოდგაო. ჩვენმა საფინანსო მოღვაწეებმა არ მიიღეს მხედველობაში, რომ რასაც ნაყოფი მოჰქონდა ევროპაში, იმიტომ მოჰქონდა, რომ ნიადაგი ჰქონდა მომზადებულიო. სახელმწიფო, საზოგადო და ეკონომიური ცხოვრება ევროპაში სულ სხვა პირობათა შორის მიმდინარეობდა და ჩვენი ცხოვრება-კი სულ სხვა ვითარებისა იყოვო.

ამ საგნის გამო გაზეთი „Русскія Вѣдомости"-ები ადარებს 60 წლის და ეხლანდელ საფინანსო პოლიტიკას და ამბობს: ფინანსების შესახებ მე-60 წელი არაფერს საიმისოს არას წარმოადგენსო. კანონი ბაჟის დაწესების გამო გაჭრობისა და სხვა-და-სხვა ხელობისათვის, სასმელებზე ბაჟის შემოღების წესი, განთავისუფლება მოქალაქეთა საკომლო გადასახადისაგან და დაწესება გადასახადისა საქალაქო მამულებზედ—აი თითქმის ყველა ის ცვლილება, რომელიც მაშინ იყო შემოღებულიო. ეს კერძოდ ფინანსების ანუ სახელმწიფო შემოსავალთა გამოვო. სახელმწიფო სესხის გამო კიდევ აი როგორ მოქმედებდა მაშინ საფინანსო გამგეობაო: სესხულობდა ფულს ძველის საფინანსო დაწესებულებათა გასაუქმებლად, რკინის გზების გასაკეთებლად, ყოველ-წლიურის სახელმწიფო ვალის გასასტუმრებლად და მამულების შესასყიდად მემამულეთაგან გლეხთათვისაო. რაიცა შეეხება იმას, რომ ქაღალდის ფულისთვის ფასი მოუმატებინაო, აქ მაშინდელმა საფინანსო გამგეობამ ვერაფერი ვერ მოახერხაო. სამრეწველო პოლიტიკაში-კი იმითი იჩინა თავი, რო მსახელმწიფოში შემოსატან საქონელს ბაჟი დაადოვო და ამითი მფარველობას უწევდა რუსეთის მრეწველობასაო, მაგრამ ეს მფარველობა მაშინ უფრო მცირე იყო, ვიდრე ეხლაო. ამას გარდა დაეხმარა მრეწველობასა და აღებ-მიცემობას მით, რომ სახელმწიფო, კერძო და საქალაქო ბანკები დააწესაო და მრავლად დააკეთა რკინის-გზებიო.

ჩვენი დრო ფინანსების მხრით სულ სხვა არისო. ამბობს გაზეთი. სახელმწიფო შემოსავლის შესახებ შემდეგი ახალი წესებია შემოღებულიო: დაწესებულ იქმნა ბაჟი იმ ქონებაზედ, რომელიც ჩუქებითა და უსასყიდლოდ სხვის ხელში გადადისო, მომატებულ იქმნა გადასახადი სახელოსნო, სააღებ-მიცემო და სამამულოვო, ხელ-ახლად იქმნა შემოღებული დამატებითი გადასახადი სამრეწველო და სააღებ-მიცემო საქმეთათვისო. დაწესებულ იქმნა გადასახადი ფულის სარგებელზედაო, გაუქმებულ იქმნა სულზედ დაწესებული გადასახადი, აგრეთვე ბაჟი მარილსაო. სახელმწიფო სესხთა გამო უნდა ვსთქვათ, რომ ხაზინა ეხლაც სესხულობს ფულს ყოველ-წლიურის ვალის გადასახდელად, აგრეთვე რკინის გზების საკეთებლად. სესხულობს აგრეთვე იმისათვისაც, რომ შეამციროს დიდ-ძალი ქაღალდის ფული. ამ ქაღალდის ფულის შემცირებაზედ უნ-

და გვთქვათ, რომ ეხლანდელმა საფინანსო გამგეობამ საჭიროდ დაინახა, აღარ მოეჭრა ქაღალდის ფული და სრულიად დაეწვა ის ფულიც, რომელიც მოსჭრა უკანასკნელის ომის დროსაო. მრეწველობას უფრო მეტი მფარველობა გაუწია ეხლანდელმა საფინანსო გამგეობამ და ძალიან დიდი ბაჟი დააწესა უცხო ქვეყანათაგან შემოსატან საქონელზედ მაშინ, როდესაც სავაჭრო კრედიტი-კი წინადვე შეაყენა და მე-80 წელში-კი დაარსებული სავაჭრო დაწესებულებანიც სასტიკ კანონ-დებულებას დაუქვემდებარაო. რკინის გზები თუმცა ეხლაცა კეთდება, მაგრამ ისე ბევრი-კი აღარა, როგორც უწინ იყო, სამაგიეროდ წესი და რიგი მეტი შეაქვს გამგეობას სარკინი-გზო საქმეების მართვაშიო. საფინანსო უწყების მოქმედებასვე უნდა მივაწეროთ: წესები ქარხანებისათვის, სახელწიფო გადასახადების ზედამხედველთა თანამდებობანი და საადგილ-მამულო ბანკები. ამ მოღვაწეობას საფინანსო გამგეობისას თუ დააკვირდა კაცი, შეამჩნევს, რომ უმთავრესი ხასიათი ამ მოღვაწეობისა არის—უფრო სამართლიანად განაწილებულ იქმნას გადასახადი მცხოვრებთა-შორის და უფრო მეტი რიგი და წესი მიეცეს მე-60 წლს შემოღებულ საფინანსო დაწესებულებათა: ბანკებისა, რკინის გზებსა და ამ უკანასკნელს დროს გამრიელებულს დიდს მრეწველობას.

გამოდის, რომ ამ ორ საფინანსო გამგეობათა-შორის, ერთს სულ დავიწყებია, რა უსამართლობით იყო სახელმწიფო ხარჯი და გადასახადი დაწესებული იმ თავითვე, მეორე-კი სცდილობს, რომ განაკარგოს ამ უზომო და უდიერ ხარჯისაგან გათახსირებული მდგომარეობა, ერთი მფარველობას მრეწველობას სესხითა და რკინის გზებით,—მეორე—საბაჟოებითა; ერთი თავისუფლებას ანიჭებს მრეწველობას (ქარხანებსა და ბანკებს), მეორე კანონს უქვემდებარებს და უმორჩილებს; ერთი უარ-ჰყოფს თითქმის სახელმწიფო საადგილ-მამულო კრედიტს, მეორე—ხელ-ახლად აწესებს; ერთი უხვად გასცემს თავის ხაზინას, მეორე კლიტეებს ადებს ამ ხაზინას; ერთის სიტყვით, ერთი ურევს და სწეწავს ფინანსებს, მეორეს—წესსა და რიგში მოჰყავს ეს ფინანსები. მაშ რაღათ ამბობს ტაიმსი სოკეტნიკი, რომ ეხლანდელი გამგეობაც ისეთისავე ძაგების ღირსია, როგორც წინანდელიო? განა ან წინანდელი აგრე ხელ-აღებით საძაგებელი იყოვო? განა კანკრინის გამგეობას მაინც აღარა სჯობდაო? რაც უნდა იყოს მე-60 წლებში მიეცა მხოლოდ ჩვენს ფინანსებს ცოტაოდენი რიგი და წესიო. მინამდე, იკრიფებოდა შემოსავალი, იხარჯებოდა ფული, იღებოდა სესხი, მაგრამ არავინ არ იცოდა, რად, რისთვის და რამდენი? არ იცოდა ეს თვით ფინანსთა მინისტრმაც-კიო. მაშინ, მე-60 წლის წინად, ფინანსები კი არ იყო—„ორმობნელი" იყო, რომელშიაც ვერავინ ვერას ჰხედავდაო.

დეპეშა

2 მაისს.

ათინა. სამხედრო მინისტრმა გასცა ბრძანება, რომ შეაყენეთ ჯარების გზავნა სამზღვრებისაკენაო და გააუქმეთ ბრძანება იტალიაში ჯორცხენების ხყიდვის თაობაზედაო.

სამეფოს ფლოტი სდგას წინანდებურად ხალამინთან, მხოლოდ ორთქლ-მოუმზადებლად-კი.

ლონდონი. ირლანდიის პროვინციაში, სახელდობრ ულსტერში, სადაც პროტესტანტები მკვიდრობენ, შოტლანდიის ტომისანი, ძლიერი მღელვარება დაიწყო ირლანდიის კანონ-პროექტის გამო; აარსებენ კომიტეტებს მეომარ რაზმთა, შესადგენად, იმ აზრით, რომ შეთოფიარაღებულნი ეწინააღმდეგონ და ულსტერში არ შემოაღებინონ ეს კანონიო.

ის ხმა, რომ ვითომ გენერალმა ულოხლეიმ გამოაცხადა, განზრახვა მაქვს მოთავეობა გავუწიო ამ მღელვარებასაო, უარ-ყოფილ იქმნა სახოგადოებათა პალატაში სამხედრო მინისტრის-მიერ.

საკალენდრო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპვ (1886) წელიწადის. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14,

ამისი ქორონიკონი — უოჱ=478 წლის. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4,

ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადის. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები — 3.

ყველიერი მოდის 16 ფებერვალს, დიდ-მარხვა — 23 ფებერვალს, აღდგომა—13 აპრილს, ამაღლება—22 მაისს, სულის-წმიდის მოსვლა—1 ივნისს, ამავ დღიდამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

მაისი 31 დღით არის.

«გამოვიდა ბრძანება, რომ ამიერ-კავკასიაში აღარა ხმარებულიყო ვერცხლის ფული-საქართველოს მეფეების დროს მოჭრილი» (1852 წელს). ჭეშმარიტი შუადღე 11—56—8. ტფილისში მზე ამოდის 4—41. ჩადის 7—11. მთვარე ამოდის 3—20, ჩადის 2—14 ნღ.

3 დღე შაბათი. წმ. ტიმოთე და მავრისა. კათ. პოვნა ცხოველ-მყოფელის ჯვარისა. ჭეშმარიტი შუადღე 11—56—9. ტფილისში მზე ამოდის 4—40; ჩადის 7—16—12. მთვარე ამოდის 4—31 ჩადის 3—2 ნღ.

4 დღე კვირა. ღირსისა პელაგიასი, მოწამე სილოვანისა, ერაზმისა. სომეხთა: 22 დღე და მეოთხე კვირა აღდგომის შემდეგ (კარმირ კიურაკე). კათ. ფლორიანისა. ჭეშმარიტი შუადღე 11—56—9. ტფილისში მზე ამოდის 4—39; ჩადის 7—13.

5 დღე ორშაბათი: ქალწულ-მოწამისა ირინასი. კათ. პისი. „გალაშკრება თავ. ციციშვილისა ერევანზედ 1804 წ. დაარსება ტფილისში წმ. ნინოს საქალებო სასწავლებლისა 1846 წ. იერიშით აიღეს არტაანის ციხე 1877 წ. ჭეშმარიტი" შუადღე 11—56—11 ტფილისში მზე ამოდის 4—38; ჩადის 7—11. მთვარე ამოდის 6—42 ღ. ჩადის 4—12 ნღ.

მაზანდა.

გამოხადეგი ცნობანი.

1 აპრილიდამ 1-ლ მაისამდე.

ადგილობრი პური 1-ლის ხარისხისა.		5 კ.
» » 2 »		2½ »
ჯვარის მამის პური თონისა და ლავაში		
1-ლის ხარისხისა	. . .	4½
მე-2 ხარისხისა	. . .	3 »
მე-3 —	. . .	2½
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.		8 »
2 —	. .	7 »
ჩალაღაჯი და ცალკე ამოჭრილი		
სუკი	. . . . .	14 »
ცხვრის ხორცი	. . . .	9 »

მიმოსვლა რკინის გზისა.

ტფილისიდამ გადის ბათუმს 8 ს. 35 წ. დ.
ბათუმიდამ მოდის— — 10 ს. 25 წ. დ.
ბაქოში მიდის— — — 10 ს 45 წ. დ.
ბაქოდამ მოდის — — 8 ს. „ — „ დ.

ტფილისსა და სურამ შუა.

ტფილისიდამ გადის 3 ს. 19 წ. დ.
სურამიდამ ტფ. შემოდის 8 ს. 24 წ. დ.

მიმოსვლა ფოსტის ეკიპაჟთა

თბილისსა და კავკავ შუა.

პირ-და-პირ მხვლელნი დამით დაუდგომლად.

ტფილისიდამ გადის — 4 ს. ნაშუადღევს
კავკავში შედის — — 5 ს. 15 წ.
კავკავიდამ გამოდის — 4 ს. 7 წ.
ტფილისში მოდის — 5 ს. 6 წ. 6—31

დამე დგომით:

ტფილისიდამ გადის 8 ს. დილით.
კავკავში შედის — 5 ს 11; 6—43 სღ
კავკავიდამ გამოდის 9 ს. დილით.
ტფილისში შემოდის 4 ს. 44; 5—25 საღ.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსიისკს და კერჩში შევლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შევლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

განცხადებანი

ზედამხედველი კომიტეტი ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა აუწყებს ბ-ნთ დამფუძნებელ წევრთ და წევრთ მსესხებელთ, რომ ბანკის წესდების 82 ძალით 4 მაისს ამა 1886 წ. დილის 10 საათზედ დანიშნულია საერთო კრება წევრთა არწრუნისეულს სახლში სასახლის ქუჩაზე. კრებამ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს შემდეგი საგნები.

1) ანგარიში ბანკის მოქმედობისა 1885 წ. განმავლობაში.

2) მოხსენება ბანკის მმართველობისა იმ მამულების თაობაზედ, რომელიც ბანკს დარჩა.

3) მოხსენება ბანკის მმართველობისა სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვაზედ 1886 წლისათვის.

4) მოხსენება მმართველობის და ზედამხედველის კომიტეტისა იმის თაობაზედ, თუ როგორ განაწილდეს საყოველთაო საჭიროებისათვის 35% წმინდა მოგებისა.

5) მოხსენება იმის თაობაზედ, თუ რა შემწეობა მიეცეს ანასტასიის საქალებო პროგიმნაზიას გორში.

6) არჩევანი ზედა-მხედველის კომიტეტის სამის წევრისა ნაცვლად თ. ი. ა. ანდრონიკოვისა, ღ. ა. მაღალაშვილისა და გ. მ. თუმანიშვილისა, რომელნიც თავს ანებებენ კომიტეტს.

7) არჩევანი მმართველობის ერთის წევრისა ნაცვლად თ. ი. გ. მაჩაბლისა, რომელიც რიგისამებრ ანებებს თავს მმართველობასა.

8) არჩევანი დამფასებელ კომმისიის ორის წევრისა ნაცვლად თ. გ. ს. ციციშვილისა და ა. ნ. ფურცელაძისა, რომელნიც რიგისამებრ ანებებენ თავს კომისიას. (5—5)

გრ. ჩარკვიანის

ქართულ წიგნის მაღაზიაში

იხყიდება

რუსულ ქართული

ლექსიკონი

ხელ-ახლად გადაკეთებული ახალს ლექსიკონებზედ და გამოცემული დ ჩუბინოვისაგან.

ფასი თითო წიგნისა 3 მ. 60 კ.

(10—8)

გამოცემა გ. დ. ქართველიშვილისა.

ახლად დაიბეჭდა და ისყიდება თბილისში გრიქუროვის და ცენტრალურს წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში ჭილაძის მაღაზიაში:

ვახუშტი

საქართველოს ისტორია

განმარტებული და შევსებული ახლად შეძენილის არხეოლოგიურის და ისტორიულის ცნობებით

დიმიტრი ზ. ბაქრაძის მიერ.

ნაწილი პირველი

ძველის საქართველოს საზოგადო ქარტით.

შედგენილი და დახატული ქვაზედ ნ. ი. წილოსნისაგან, და ამოჭრილი გ. ტატიშვილისაგან.

თითო წიგნი ღირს სამ მანათად.

ამ წიგნის შინაარსია: 1) სამი წინა-სიტყვაობა: პირველი, ანუ განხილვა ძველის ქართულის ხრონოლოგიისა (ვახუშტისა); მეორე, ანუ ცნობა ვახუშტზე და იმის ქარტებზე (ბროსსესი); მესამე, ანუ ქართულის ისტორიის წყაროები და და «ქართლის ცხოვრების» ღირსება (ბაქრაძისა). 2) საქართველოს ძველი წესდებანი და ზნე-ჩვეულებანი; ისტორია ძველის დროდამ 1469 წლამდე, ანუ საქართველოს დანაწილებამდე სამეფო-სამთავროებად.

აქ შენიშვნებში შემოტანილია, გარდა მსოფლიო ისტორიულის ცნობებისა, რომელნიც გვიჩვენებენ უცხო-ტომთ გავლენას ჩვენს გვარ-ტომზე, ის ცნობანი, გარეგანნი და შინაგანნი (სხვა-და-სხვა ხრონიკებიდამ, გუჯრებიდამ და წარწერებიდამ), რომელნიც არიან აღმოჩენილნი ჩვენ დროს.

წიგნის ბოლოს ჩართულია: 1) ახალ დამატებაში შთამომავლობის ხე მეფეთა და მთავართა გიორგი VIII-მდე († 1469 წ.). აქ თვითოეულს მეფობაში ნაჩვენებია ყოველივე მის დროს შესანიშნავი ისტორიული შემთხვევა ისე, რომ ეს დაწყება შეადგენს ცალკე შემოკლებით მთელს საქართველოს ისტორიას; 2) საზოგადო საქართველოს ქარტა ძველის ისტორიულის ნომენკლატურით (სახელ-წოდებით), იმ გვარად დახატული, რომ იმის მთახეობათა მიმდინარეობა ადვილად უჩვენებს ბუნებითს დანაწილებას ჩვენის ქვეყნისას თემ-თემებად.

ამ გვარადვე შესდგება მეორე და მესამე ნაწილი «ვახუშტის ისტორიისა». «მეორე ნაწილს» საგნად ექნება: ქართლის სამეფოს გეოგრაფია და ისტორია; კახეთის სამეფოს გეოგრაფია და ისტორია. აქ ჩაერთვის ქართლ-კახეთის მეფეთ შთამომავლობა და ქართლ-კახეთის ქარტა. ჩაერთვის აგრეთვე მხატვრობა, როგორც ყველა ქართულის მანათებისა მათის განმარტებით, აგრეთვე ჩვენის მწერლობის ნიმუშებისა ძველის დროდამვე ისე, რომ მკითხველმა ყველა საუკუნოების მწერლობის ხასიათი შეიგნოს. ეს ნაწილი გამოვა მომავალ წელში.

მესამე ნაწილი, გეოგრაფია და ისტორია დასავლეთის საქართველოისა, ანუ იმერეთისა და სამცხე-საათაბაგოსი თავის შთამომავლობით და ქარტით და სრულის ალფაბეტით გამოიცემა 1887 წელს. (20—4)

Дозволено цензурою Тифлисъ 2 Мая, 1886 года. მელიქიშვილის სტამბა. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.